დასაწყისი და დასასრული...

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 28 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “ავანგარდი” (ხარკოვი) 4:1 (0:1).

“ავანგარდი”: ვლასენკო (შელეგი), ონისკო, მარიენკო, ტოდოროვი, მასლენიკოვი (ოჟერედოვი), კრავჩენკო, კოსტიუკი, კაშტანოვი, პანფილოვი, კოროლიოვი, კროშჩენკო.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (ხელაძე), მესხი.

მსაჯი ი. ლიტვინასი (ვილნიური).

ჩვენს სპორტულ პრესაში ჯერ კიდევ არ დამცხრალა დისკუსია, რომელიც წარმოიშვა ე.წ. თავდაცვითი და შემტევი ფეხბურთის მომხრეთა შორის. უმეტესობა, რა თქმა უნდა, ოპოზიციაში უდგას თავდაცვით ფეხბურთს, რომლის ერთ-ერთი “კლასიკური” წარმომადგენელი გუშინ თამაშობდა ჩვენს სტადიონზე თბილისელთა წინააღმდეგ. ესაა ხარკოვის “ავანგარდი”.

ხარკოველები შორს დგანან ამ დისკუსიისაგან. მათ ძირითადად აინტერესებთ არა დიდი ფეხბურთის პრობლემები, არამედ საკუთარი გუნდის მდგომარეობა “ა” კლასის გათამაშების ცხრილში და თითოეულ მატჩში აღებული ქულები. მათ აქვთ გარკვეული ტაქტიკური წყობა, მაქსიმალურად გაძლიერებული დაცვით და კონკრეტული ამოცანა, რომელსაც საერთაშორისო ფეხბურთში “ბეტონი” ეწოდება.

თბილისის “დინამოს” საერთო კლასი და მისი თითოეული წევრის ინდივიდუალური თამაშის დონე ბევრად მაღლა დგას გუშინდელი მოწინააღმდეგისაზე, მაგრამ ჩვენმა გუნდმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლა თამაში მეტოქეებთან, რომლებიც მიმართავენ “ბეტონებს” და “ზებეტონებს”, არ ღებულობენ პირდაპირ გამოწვევას და ღრმად კონცენტრირებულ დაცვაში, სადაც მოთამაშეთა დიდი რიცხობრივი შეჯგუფებაა, ცდილობენ ჩაახშონ უფრო სწრაფი, ტექნიკური და ტემპიანი მოწინააღმდეგის თამაში. ესაა კედელი, რომელსაც არ უნდა გააჩნდეს ბზარი.

მატჩის დასაწყისი, პირველი 10 წუთი თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. ეს იყო კოლექტიური, მთლიანი შეტევა, რომელიც თავდასხმის თითოეული წევრის უმაღლეს ოსტატობას ემყარებოდა. გუნდის საიერიშო მექანიზმი მუშაობდა შეუფერხებლად, ზუსტი ურთიერთმოქმედებით, მაგრამ “ავანგარდმა” გაუძლო ამ მძლავრ შტურმს და მალე მიაღწია მთავარ ამოცანასაც: თბილისელთა შეტევაში დაირღვა მთლიანობა, პირველად ეს დაეტყო იამანიძეს, შემდეგ მის პარტნიორებსაც და “დინამოს” შესანიშნავი თამაშიდან თითქმის აღარაფერი დარჩა.

თავი დავანებოთ იმ გოლს, რომელიც “ავანგარდის” მარჯვენა ფრთაზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ იქნა გატანილი თბილისელთა კარში (კოსტიუკი-კაშტანოვი). ეს შეიძლება სხვა ვითარებაშიც მომხდარიყო. დიდი ხნის განმავლობაში, უკვე როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, დინამოელთა თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. გუნდის წამყვანი მოთამაშეებიც კი ზედიზედ უშვებდნენ უხეშ შეცდომებს როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

69-ე წუთზე გ. სიჭინავა გაიჭრა “ავანგარდის” საჯარიმო მოედანზე და ძლიერად დაარტყა კარში. შედეგი მისწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეაჩერა იგი ხელებში და კალოევმა მარჯვენა ფლანგიდან გაქვითა გოლი - 1:1.

ეს თითქოს სიგნალი იყო. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში “ავანგარდის” დაცვა აბსოლუტურად დემორალიზებული იქნა თბილისელთა თავდამსხმელების მიერ, რომლებიც კვლავ ამოქმედდნენ ისე, როგორც მატჩის დასაწყისში. 79-ე წუთზე გ. სიჭინავამ და მესხმა გაითამაშეს კომბინაცია, ამ უკანასკნელმა ცენტრში გადასცა ბურთი ბარქაიას და მარჯვენა ინსაიდმა წინ გაიყვანა თავისი გუდნი - 2:1. რამდენიმე წუთის შემდეგ მინდვრის მთელ სიგანეზე განხორციელებულ იქნა გადაცემათა მთელი სერია: მესხი-გ. სიჭინავა-ბარქაია-მელაშვილი, რომელიც ბრწყინვალე დარტყმით დაამთავრა მელაშვილმა - 3:1. 89-ე წუთზე ხარკოველებს ერთხელ კიდევ მოუხდათ თამაში ცენტრიდან კალოევის ზუსტი და გამოზომილი დარტყმის შემდეგ - 4:1.

ასე კარგად დაიწყეს დინამოელებმა გუშინდელი მატჩი და საბედნიეროდ კარგად დაამთავრეს.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 24 ივნისი 1962 წ.